მეგობლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 14 ივლისი, 1944 წ. № 142 (7085). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ერიომენკოს

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ნოვგოროდ-ოლენიკის ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით მდებარე რაიონიდან, გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და შეტევითი ბრძოლების ორი დღის განმავლობაში წინ წაიწიეს 35 კილომეტრამდე, გარღვევა გაფართოვეს 150 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი **იდრიცა**—გერმანელთა თავდაცვის დიდძნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი და დაიკავეს 1.000-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **კუდეევრი, დუნოვო, იუხოვიჩი, როსონო, კლიასტიცი.**

გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **კაზაკოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **იუშკევიჩის**, გენერალ-ლეიტენანტ **კოროტკოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **ნოვოსელსკის**, გენერალ-მაიორ **ხორუჟენკოს**, გენერალ-მაიორ **ვახრამეევის**, გენერალ-მაიორ **კლეშნინის**, გენერალ-მაიორ **სედელნიკოვის**, პოლკოვნიკ **პერევერტკინის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ნიჩოგის**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ნესტერენკოს**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კუპრიანოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ნესტერუკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **შალუნოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ხარლამოვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ჩერნიავსკის**, პოლკოვნიკ **ლებედევის**, პოლკოვნიკ **კოჩერგინის**, პოლკოვნიკ **ნიკოლაევის**, პოლკოვნიკ **იუდინის**, პოლკოვნიკ **პარამონოვის**, პოლკოვნიკ **ბრმეგაძის**, პოდპოლკოვნიკ **სიპკოვის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ნაუმენკოს**, ავიაციის გენერალ-მაიორ **დანილოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **რუბანოვის**, პოლკოვნიკ **ლიტვინოვის**, პოლკოვნიკ **კორპუსოვის**, პოლკოვნიკ **ტრუშკინის**, პოლკოვნიკ **ვოლვოდინის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **პილიპეცის**, პოლკოვნიკ **ეგოროვის**, პოლკოვნიკ **ლეუზევის**, პოლკოვნიკ **შურაშევის**, პოდპოლკოვნიკ **ბელოზერცევის** მესანგრეებმა და კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **პანინის**, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **დენისოვის**, პოლკოვნიკ **სპივაკის**, პოლკოვნიკ **აკიმოვის** მეკავშირეებმა.

მიღწეული წარმატების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ბრძოლებში გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და ქალაქ **იდრიცის** დაკავებისათვის, წარდგენილ იქნან „**იდრიცის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 12 ივლისს, 23 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **ბალტიისპირეთის** მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და დაიკავეს ქალაქი **იდრიცა.**

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას და ქალაქ **იდრიცის** განთავისუფლებისათვის.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი *ი. სტალინი*

1944 წლის 12 ივლისი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა დღეს, 13 ივლისს, ხუთი დღის ბრძოლების შედეგად, მოსპეს ქალაქ **ვილნიუსში** გარშემორტყმული გერმანელთა გარნიზონი და ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი.

ქალაქ **ვილნიუსის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **კრილოვის**, გენერალ-მაიორ **კაზარცევის**, გენერალ-მაიორ **პერეკრესტოვის**, გენერალ-მაიორ **პოკლავსკის**, გენერალ-მაიორ **გლადეშევის**, გენერალ-მაიორ **ლასკინის**, გენერალ-მაიორ **კაზარიანის**, პოლკოვნიკ **დოზეცის**, გენერალ-მაიორ **კალინინის**, გენერალ-მაიორ **ალექსეენკოს**, პოლკოვნიკ **შეკოვ-ბოგატირიოვის**, პოლკოვნიკ **ბაბიანის**, გენერალ-მაიორ **გორდოვიკოვის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ბარსუკოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ფედოროვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ვლადიმიროვის**, პოლკოვნიკ **ბარეშევის**, პოლკოვნიკ **რახმანოვის**, პოლკოვნიკ **ჩერნეტის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **იუდიჩევის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **როშანოვიჩის**, პოლკოვნიკ **გაცკოს**, პოლკოვნიკ **სედოვის**, პოდპოლკოვნიკ **ტიხომიროვის**, მაიორ **გუშვას**, პოდპოლკოვნიკ **ლიტვინოვის**, პოდპოლკოვნიკ **კოზლოვის**, მაიორ **რიშიკოვის**, მაიორ **უსოვის**, პოდპოლკოვნიკ **ნიკიტინის**, პოდპოლკოვნიკ **ნაუმენკოს**, მაიორ **კოლუპაევის**, მაიორ **შარკოვის**, პოლკოვნიკ **მეშინსკის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ოგბუხოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **როდინის**, პოლკოვნიკ **როდიონოვის**, პოლკოვნიკ **კრემერის**, პოლკოვნიკ **სოკოლოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ასლანოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **სოლოვიოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ვოვჩენკოს**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ფომინიხის**, პოლკოვნიკ **გრიცენკოს**, პოდპოლკოვნიკ **ესიპენკოს**, პოლკოვნიკ **დოლგანოვის**, პოდპოლკოვნიკ **მოლჩანოვის**, პოდპოლკოვნიკ **კურნოსოვის**, პოდპოლკოვნიკ **მიშჩენკოს**, პოდპოლკოვნიკ **დიაჩუკის**, პოლკოვნიკ **კრუტის**, პოდპოლკოვნიკ **სოლტერის**, მაიორ **ბორშჩენკოვის**, პოდპოლკოვნიკ **ნემკოვიჩის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **ხრიუკინის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ბელეცკის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სავიცკის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ანდრეევის**, პოლკოვნიკ **სავინის**, პოდპოლკოვნიკ **ბორბატიუკის**, პოდპოლკოვნიკ **ოლოვის**, პოდპოლკოვნიკ **დოროშენკოს**, პოდპოლკოვნიკ **ზაიცევის**, პოლკოვნიკ **ჩუჩევის**, მაიორ **კატკოვის**, პოლკოვნიკ **ვასილიევის**, პოლკოვნიკ **ჩუმაჩენკოს**, პოლკოვნიკ **როდინის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ბარანოვის**, პოლკოვნიკ **მოლჩანოვის**, მაიორ **რაბინოვიჩის**, პოლკოვნიკ **იუსუპოვის**, პოლკოვნიკ **ლუკაშენკოს** მესანგრეებმა და კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **ბუროვის**, პოლკოვნიკ **პრიხოდაის**, პოდპოლკოვნიკ **ბელოვის**, პოლკოვნიკ **მინინის**, პოლკოვნიკ **ტკაჩენკოს**, მაიორ **ტარასენკოს**, მაიორ **სემიონოვის**, მაიორ **სუხინინის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **ვილნიუსის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ვილნოს**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 13 ივლისს, 23 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს საბჭოთა ლიტვის დედაქალაქი — **ქალაქი ვილნიუსი.**

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **ქალაქ ვილნიუსის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი *ი. სტალინი*

1944 წლის 13 ივლისი.

მოსკოვი, კრემლი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

დიდი სიხარულით მოგახსენებთ თქვენ, რომ მშენებლობის სახალხო კომისარიატის მშენებლებმა და საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის სტალინის სახელობის ურალის ავტომქარხნის კოლექტივმა დაამთავრეს ურალში — ჩელიაბინსკის ოლქის ქ. მიასში მძლავრი საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, მონტაჟი და წარმოების ორგანიზაცია.

მეტალურგიული, ქვანახშირისა და ნედლეულის ბაზების მახლობლად, ცენტრალურ ხარკინგზო მაგისტრალთან, მტკიცე ენერგეტიკულ საფუძველზე, სამამულო ომის დროს აიგო სამხრეთ ურალში ახალი საავტომობილო ქარხანა, რაც ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების მკაფიო დადასტურებაა.

შესრულებულია პარტიისა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის უმნიშვნელოვანესი დირექტივა აღმოსავლეთში კომპლექსური საავტომობილო მშენებლობის შექმნის შესახებ.

ურალის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა დაიწყო თქვენი დავალებით 1942 წლის თებერვის მკაცრ ზამთრებში.

ამ ხნის განმავლობაში აგებული და საექსპლოატაციოდ გადაცემულია: სამექანიკო-საბოწყობო კორპუსი მთავარი კონვეიერით, მოტორებისა და სიჩქარეთა კოლოფების საამქრო, ჭედადი და რუხი თუჯის მექანიზებული სამსხმელოები, ფოლადისა და ფერადი სხვულის სამსხმელოები, თერმული საამქრო, ნორმალების საამქრო, საინსტრუმენტო, სამოდელო და სხვა დამხმარე საამქროები 90 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

ამავე დროს აგებული და საექსპლოატაციოდ გადაცემულია ქ. ჩელიაბინსკში სამჭედლო-საწნეხი ქარხანა, რომელიც შესდგება სამჭედლო, საწნეხი, ჩარხოების, რეხო-ზამბარის, ბორბლების, საშტამპო-მექანიკური და სხვა დამხმარე საამქროებისაგან 48 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით, რაც წარმოადგენს ჭედვისა და ცივი ტვიფვრის დეტალების ბაზას ურალის საავტომობილო ქარხნისათვის.

საავტომობილო ქარხანა თანმიმდევრულად იქმნებოდა. მშენებლობასთან ერთად ქარხნის კოლექტივმა დაიწყო საავტომობილო აგრეგატებისა და დეტალების წარმოების ათვისება.

მშენებლობის დაწყებიდან ოთხი თვის შემდეგ ქარხანამ დაიწყო საავტომობილო მოტორების გამოშვება და 1944 წლის ივლისისათვის გამოუშვა ფრონტისა და სახალხო მეურნეობისათვის 41 ათასზე მეტი საავტომობილო მოტორი, 60 ათასზე მეტი სიჩქარეთა კოლოფი ავტომობილებისა და საბრძოლო მანქანებისათვის და ავტომობილის 34 მილიონზე მეტი მანეთის სათადარიგო ნაწილები.

1944 წლის 8 ივლისს ქარხნის კონვეიერიდან გადმოსვლა იწყეს ურალის სატვირთო ავტომობილებმა.

ვამაყობთ იმით, რომ ჩვენმა სამშობლომ თქვენი ხელმძღვანელობით შესძლო სამამულო ომის მკაცრ წლებში აეგო ურალში საავტომობილო ქარხანა, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი, რომელიც მზად არის თქვენი დავალების მიხედვით გამოუშვას ავტომობილები ჩვენი ქვეყნის სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

საავტომობილო წარმოებისა და სამშენებლო საქმის მაღალ საწარმოო კულტურას ითვისებენ ათასობით ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებმაც ახალი კვალიფიკაცია და სპეციალობანი შეიძინეს.

ჩვენი მამაცი წითელი არმიის მიერ თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით მოპოვებული უდიდესი გამარჯვებანი ალფრთოვანებენ ქარხნის კოლექტივსა და მშენებლებს ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის ქარხნის სიმძლავრეთა უაღრესად სწრაფი ათვისებისა და შემდგომი გაფართოებისათვის.

პირობას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ მომავალშიც მთელ ჩვენს ძალებსა და ცოდნას მოვახმართ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისა და მტერზე სამხედრო გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეს.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ფრონტებზე და ზურგში ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს და სულისჩამდგმელს, ჯანმრთელობას და მრავალი წლის სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მშენებლობის სახალხო კომისარიატის № 8 ტრესტისა და სტალინის სახელობის ურალის ავტომქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა დავალებით
სტალინის სახელობის ურალის საავტომობილო ქარხნის დირექტორი **ხლამოვი**
მშენებლობის სახალხო კომისარიატის სამშენებლო-სამონტაჟო № 8 ტრესტის მმართველი **პრიხოჟანი.**
საკავშირო კ. პ. (ბ) ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის მდივანი **პატოლიჩევი.**

სტალინის სახელობის ურალის საავტომობილო ქარხნის დირექტორს ამხანაგ ხლამოვს
მშენებლობის სახალხო კომისარიატის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის მმართველს ამხანაგ პრიხოჟანს
საკავშირო კ. პ. (ბ) ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხანაგ პატოლიჩევს

მივესალმები დ? ვულოცავ მშენებლობის სახალხო კომისარიატის მშენებლებსა და საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ურალის საავტომობილო ქარხნის მუშაკებს დიდ საწარმოო გამარჯვებას—ახალი საავტომობილო ქარხნის ამუშავებას და სატვირთო ავტომობილების გამოშვების დაწყებას.

ომიანობის დროის ძნელ პირობებში დაძაბული მუშაობით თქვენ გადაესწყვიტეთ მნიშვნელოვანი თავდაცვითი და სახალხო-სამეურნეო ამოცანა და შეჰქმენით ურალში მძლავრი ქარხანა წითელი არმიისა და სახალხო მეურნეობისათვის ავტომობილების გამოსაშვებად.

სამშობლო დიდად აფასებს თქვენს თავდადებულ მუშაობას და დახმარებას ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცების საქმეში.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ავტომობილების წარმოების ათვისებაში და ქარხნის შემდგომ განვითარებაში.

ი. სტალინი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

გერმანელმა ფაშისტმა მტაცებლებმა დაანგრიეს უკრაინის ერთ-ერთი უდიდესი ქარხანა — კუიბიშევის სახელობის მარიუპოლის მილსაგლინავი ქარხანა. გერმანელ დამპყრობთა განდევნის შემდეგ ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, გერმანელ ფაშისტ ყაჩაღებზე წითელი არმიის გმირული გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი, თავიანთი ძალებით შეუდგნენ ქარხნის აღდგენას.

მოგახსენებთ თქვენ, ჩვენო საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, რომ 9 თვის განმავლობაში კუიბიშევის სახელობის ქარხნის კოლექტივმა დაამთავრა აღდგენა და საექსპლოატაციოდ გადასცა: მძლავრი მილსაგლინავი საამქრო, ბალლონების საამქრო, თერმული საამქრო, მექანიკური საამქრო, ორთქლის ქვაბებისა და ქარხნის სხვა დამხმარე საამქროები. გარდა ამისა, ქარხნის ძალებით აღდგენილი და საექსპლოატაციოდ გადაცემულია გერმანელ ფაშისტი ბარბაროსების მიერ აფეთქებული მილსახვრეტი დაზგის ამძრავი ელექტრომოტორი 8.100 ცხენის ძალის სიმძლავრისა. აღდგენილმა მილსაგლინავმა ქარხანამ მოკლე ვადაში უკვე დაამზადა პირველი ათასი ტონა მოლიან-ნაგლინი მილები და ფრონტის საჭიროებისათვის გამოუშვა 1 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. სიტყვას გაძლევთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, რომ ქარხნის მშრომელთა კოლექტივი მთელ ძალებს მოახმარს პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის სახრბოლო ძლიერების გასაღიდებლად.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და ძალ-ღონეს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კუიბიშევის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის დირექტორი **კასიანოვი**
ქარხნის მთავარი ინჟინერი **მატვეევი**
უკრაინის კ. პ. (ბ) მარიუპოლის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ანტონოვი**
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი **რუბაილო.**

ქალაქი მარიუპოლი

კუიბიშევის სახელობის მარიუპოლის მილსაგლინავი ქარხანა ამხანაგებს კასიანოვს, მატვეევს, ანტონოვს, რუბაილოს

ვულოცავ მარიუპოლის მილსაგლინავი ქარხნის კოლექტივს მილსაგლინავი დაზგისა და ქარხნის ყველა საამქროს მოკლე ვადაში წარმატებით აღდგენასა და ამუშავებას.

გამოვთქვამ რწმენას, რომ მარიუპოლის მილსაგლინავი ქარხნის მუშაკები უზრუნველყოფენ ნავთის მრეწველობას მაღალი ხარისხის მილებით.

გისურვებთ შემდგომს წარმატებებს მუშაობაში.

ი. სტალინი

დ. ზ. მანუილსკი დაინიშნა უკრაინის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად

კიევი, 13 ივლისი (საკდესი). უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. დ. ზ. მანუილსკი დანიშნულია უკრაინის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად და უკრაინის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი დაინიშნა უკრაინის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად

კიევი, 13 ივლისი (საკდესი). უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი დანიშნულია უკრაინის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად.

შაბათს, 15 ივლისს
ჯ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შესდგება
დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩეხოვის
გარდაცვალების 40 წლისთავის აღსანიშნავი
საზეიმო სხდომა
სხდომის შემდეგ **კონცერტი**
დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

კომკავშირი უმნიკვლოდ ავარეულს ლენინის სახელს

ოცი წლის წინათ კომკავშირმა შნილო დიდი ლენინის სახელი.

კომკავშირმა მაშინ ფიცი დასდო, რომ იცხოვრებდა, იმუშავებდა და იბრძოლებდა ლენინურად, მუდამ მაღლა დაიჭერდა დიდი ლენინის დროშას, შეასრულებდა ბელადის ანდერძს.

კომკავშირმა მაშინ ფიცი დასდო, რომ წინ წაუძღვებოდა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების მშრომელ ახალგაზრდობას, აღზრდიდა მას ლენინიზმის დიად და უძლეველ იდეებზე, იქნებოდა მისი ღირსეული-ავანგარდი.

კომკავშირმა მაშინ ფიცი დასდო, რომ ყოველთვის მზად იქნებოდა ლენინის მიერ შექმნილი მუშათა სახელმწიფოს დასაცავად, არაფერს დაიშურებდა ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გასაძლიერებლად.

კომკავშირმა მაშინ ფიცი დასდო, რომ იქნებოდა ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული თანაშემწე, განუხრელად შეასრულებდა ბოლშევიკური პარტიის ყოველ მითითებასა და დავალებას, გადალახავდა ყველა დაბრკოლებასა და სიძნელეს მიზნისკენ მიმავალ გზაზე.

ორი ათეული წლის მანძილზე ლენინური კომკავშირი განუხრელად ასრულებდა ამ ფიცს.

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ლენინური კომკავშირი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გატარებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყო. კომკავშირი რაზმავდა ახალგაზრდობას სოციალისტური მშენებლობის დიად ამოცანათა გადასაჭრელად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ზრდიდა ათეული და ასეული ათასობით ახალ კადრებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, წითელი არმიისა და წითელი ფლოტისათვის, ზრდიდა ლენინელებს. კომკავშირის ინიციატივით ქალაქად და სოფლად გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, რამაც უდიდესი როლი შეასრულა პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელების საქმეში, ჩვენი ქვეყნის მძლავრ მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის საქმეში.

ფერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში ლენინური კომკავშირი, მთლიანად საბჭოთა ახალგაზრდობა წარმოსდგა ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიდიადით. ომი ახალგაზრდობის სულერი და ფიზიკური თვისებების მკაცრი გამოცდაა. ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩაბარეს საბჭოთა ვაჟებმა და ქალიშვილებმა, რომლებიც საშობლოს უსაზღვრო სიყვარულის, ლენინისა და სტალინის იდეებისადმი ურყევი ერთგულების, ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის უანგარო თავგანწირვის [illegible] დაუვიწყარ-მაგალითებს გვიჩვენებენ. ნამდვილად [illegible] ტზე, ბრძოლაში, ნამდვილად მასობრივი შრომითი გმირობა ზურგში, ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში,—აი რა გვიჩვენა საბჭოთა ახალგაზრდობამ.

ისტორიას არ ახსოვს ახალგაზრდობის თავდადებისა და გმირობის სხვა ასეთი მაგალითი.

რაში მდგომარეობს ლენინური კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის ძალა?

ლენინური კომკავშირის ძალა უპირველეს ყოვლისა მის მაღალ იდეურობაშია. კომკავშირის ძალა იმაშია, რომ ის იზრდებოდა, იზრდება და ზრდის მთელს ახალგაზრდობას მსოფლიოში ყველაზე მოწინავე იდეების, ლენინ-სტალინის იდეების საფუძველზე.

მაშასადამე, იმისათვის, რომ კიდევ უფრო ავაშაღლოთ კომკავშირის როლი, საჭიროა გავაძლიერეთ მუშაობა ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ბევრმა კომკავშირელმა ომის პერიოდში თავი მიანება სწავლას, ჩოლო მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები ამ საქმეს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

ლენინური კომკავშირის ძალა იმაშია, რომ მას ხელმძღვანელობს და ყოველმხრივ დახმარებას უწევს ბოლშევიკური პარტია. ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი ყოველთვის იყო და არის კომკავშირი.

მაშასადამე, იმისათვის რომ უკეთ მოვაწყოთ ახალგაზრდობის იდეური აღზრდა, კიდევ უფრო ავამაღლოთ მისი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა აუცილებელია პარტიული ორგანიზაციების მხრივ კომკავშირის მუშაობისადმი ყურადღების გაძლიერება.

დიდი **სტალინის** ბრძნული წინამძღოლობით სახელოვანი წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებანი ალფრთოვანებს საბჭოთა ახალგაზრდობას ახალი საგმირო საქმეებისათვის ფრონტზე და ზურგში.

ომი ახლა დასასრულს უახლოვდება, მაგრამ იმისათვის რომ მოვიპოვოთ მტერზე საბოლოო გამარჯვება, საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა. ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა ეს კარგად იცის. იგი არაფერს ზოგავს, რომ მოაახლოოს ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურება. იგი არაფერს ზოგავს, რომ შეასრულოს დიადი ფიცი **ლენინის** მიერ შექმნილი მუშათა სახელმწიფოს დაცვის შესახებ.

კომკავშირს ყოველთვის მაღლა ეჭირა და უჭირავს ლენინ-სტალინის დროშა!

ამ დროშას იგი მიიტანს საბოლოო გამარჯვებამდე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
12 ივლისის ოპერაციული ცნობა

12 ივლისის განმავლობაში ქალაქ **კონდოპოგის** ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **პოროსოზერო, კრასნი პასარი, ვალზამა, პიალოზერო, კოსტალუშსა, ეხკილია, ლეპიანიემი, კუიკანიემი, კაიპა** და რკინიგზის სადგურები **კაიპა, ხალასელკია.** ლადოგის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგისაგან გაწმენდეს **ლუნკულსა-სარი, მანტსინ-სარი.**

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ **ნოვგოროდ-ოლენიკის** ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით მდებარე რაიონიდან, **გაარღვიეს** გერმანელთა თავდაცვა და შეტევითი ბრძოლების ორი დღის განმავლობაში წინ **წაიწიეს** 35-მდე კილომეტრით, გარღვევა გაფართოვეს 150 კილომეტრამდე ფრონტით. შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი **იდრიცა** და 1.000-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **კალინინის** ოლქის **რაიონული** ცენტრი **კუდეევრი**, ვიტებსკის ოლქის რაიონული ცენტრი **როსონო**, დიდი დასახლებული პუნქტები **ვერხნეე კუნინო, დუნოვო, პიჩურინო, დუკლი, კიხელევა, არტიუხოვო, გარუსოვო, მიაკიშევო, რასოხინო, კლიასტიცი, ესენიკი, ბალიუზინო, ლოგაჩი, ვერბილოვო, ზალივიცა, პოზდნიაკი, იუხოვიჩი** და რკინიგზის სადგურები **ნაშჩეკინო, ნიშა, სილკოვო, როსონო, ოზერიცი.**

ქალაქ **პოლოცკის** ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე **დრისა**, ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **გოლოვაჩიცა, დერნოვიჩი, ზიაბკი, ანტონოვკა, შელტოვაჩინა, პოლზინო, ვოლინცი, სოსნოვაცი** და რკინიგზის სადგური **სპოლნა.**

ქალაქ **დვინსკის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ და ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **რიმშანი, დუკეტი, ნარიუნაი, ინდურკე, ბოროანცი, გედროიცე** და რკინიგზის სადგურები **რიმშანი, დუკეტი.**

ქალაქ **ვილნიუსის** ჩრდილო-დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ლიტვის სს რესპუბლიკის სამაზრო ცენტრი ქალაქი **ტრაკაი**, ბარანოვიჩის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **ვასილიშკი, რადუნი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ესეი, პანაშიშკი, ლეონიუნი, ჟილინი, ვოიტოვო, პო

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(დასასრული)

ქალაქ **დვინსკის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს **100**-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **სალაკასი, სუდეიკიანი, სტოგულუნკი, ლელიუნი, სკოდუციშკი, მალიატი, ~~ბ~~ბუნე, რომაშკანცე.**

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა 13 ივლისს ხუთი დღის ბრძოლების შედეგად შოსპეს ქალაქ **ვილნიუსში** გარშემორტყმული გერმანელთა გარნიზონი და ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი. ამასთან მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით დაკარგა 8 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა ჯარებმა ქალაქ **ვილნიუსში** ტყვედ ჩაიგდეს 5.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ **156** სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, **68** ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, **1.500** ავტომანქანა.

ქალაქ **ვილნიუსის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას ავითარებდნენ და ბრძოლებით დაიკავეს **250**-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ვოიძანი, კეიტოვიჩი, ~~ბ~~ულენიკი, სუმელიშკი, ~~ვ~~ისოკი დვორი, დაუგა, ოკანი, რუდნია, ნოვა რუდა, მარცინკანცე** და რკინიგზის სადგურები **ბალცერიშკი, ვევისი, კავგანი, ~~ბ~~ოსლი, ოლკენიკი, ბოცულიანცი, ოკანი, მარცინკანცე.**

ქალაქ **ლიდის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს ბარანოვიჩის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **შჩუჩინი** და **60**-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ოსტრინა, კამენკა, როჟანკა, მიკელევშჩინა, სუხინიჩი, ზანევიჩანსკი, ზელვიანი, მოსტი, პესკი, სამაროვიჩი** და რკინიგზის სადგურები **სკუიბოვცი, ~~ბ~~ოლუდოკი, როჟანკა, მოსტი.**

ქალაქ **სლონიმის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ბრესტის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **რუჟანი,** აგრეთვე **70**-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **იანოვიჩიზნა, მენძიუჟი, ბეზვოდნა, კულიანი, ბოიარი, ლისკუვი, სმოლიანიცა, სპორუვი.**

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

12 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა **26** ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის **15** თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ კონდოპოგის დასავლეთით **6** შენაერთის ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი ქალაქი სუოთიარვი. ფინელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. პირველ ერთმა ჩვენმა ნაწილმა მოსპო **700**-ზე მეტი მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდო **3** საარტილერიო ბატარეა და დიდი ალალი სამხედრო მასალებიანად. სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები, შემოვლითი მანევრის შედეგად, გარშემორტყმენ ერთ ბატალიონ ფინელთა ქვეითს ჯარს და მოსპეს იგი.

* * *

ქალაქ იდრიცის ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას განვითარებას. მოწინააღმდეგე ეყრდნობა წინასწარ მომზადებულ თავდაცვითს ხაზებს, რომელიც გადის ფსკოვ-იდრიცის რკინიგზის გასწვრივ და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. ჩვენმა ჯარებმა იერიში მიიტანეს ქალაქ ოპოჩკის ჩრდილოეთით, სოლოვეთ შეიჭრნენ გერმანელთა თავდაცვაში და დაიკავეს რკინიგზის სადგური ვოშჩაგინო. საბჭოთა ჯარების დარტყმების გამო მოწინააღმდეგე უკან იხევს და დიდი ზარალ მოსდის ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია **3.000**-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია **600** ჰიტლერელი.

* * *

ქალაქ **დვინსკის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. საბჭოთა ქვეითებმა, არტელერიის დახმარებით, დაანადგურეს მოწინააღმდეგის ორი დასაყრდენი პუნქტის გარნიზონები. მოსპობილია გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი და **8** ტანკი. ხელთ ვიგდეთ **6** ქვემეხი, **5** ნაღმსატყორცნი, **24** ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. გააფთრებული ბრძოლები მოხდა **დვინსკ-კაუნასის** გზატკეცილის რაიონში. საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა გაანადგურეს გერმანელთა ერთი პოლკი პოტოქვეითი ჯარი და არტილერიის ორი დივიზიონი. ქალაქ **უტენის** დასავლეთით ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც ტყიან-ჭაობიანი ადგილების ძნელ პირობებში მოქმედებენ, წინ წაიწიეს **15** კილომეტრით და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები.

* * *

ქალაქ **ვილნიუსის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს **250**-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ორანის (ვილნიუსის სამხრეთ-დასავლეთით) რაიონში გერმანელებმა გამოიყვანეს ორი ქვეითი დივიზიის ნაწილები და ცდილობდნენ ხელსაყრელ პოზიციებზე გამაგრებულიყვნენ. **6** შენაერთის მეომრებმა სწრაფი დარტყმით უკუაქციეს მოწინააღმდეგე და დაიკავეს დასახლებული პუნქტი და რკინიგზის სადგური ორანი. ჩვენი ქვეგანაყოფები სდევნიან მოწინააღმდეგის გაწადგურებულ ნაწილებს. სხვა რაიონში საბჭოთა კავალერისტები უეცრად შეიჭრნენ რკინიგზის სადგურში და გაანადგურეს მოწინააღმდეგის ორი ეშელონი ქვეითი ჯარიანად და ტანკებიანად.

ჩვენი ავიაცია აქტიურად უწყობდა ხელს სახმელეთო ჯარების მოქმედებას. მფრინავმა მოიერიშეებმა რამდენჯერმე დაარტყეს გერმანელთა კომუნიკაციებსა და საბრძოლო წყობილებებს. მოსპობილი და დაზიანებულია რამდენიმე ტანკი, **100**-ზე მეტი ავტომანქანა და დამსხვრეულია გერმანელთა სამხედრო ეშელონი.

* * *

ქალაქ ლიდის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს ბარანოვიჩის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **შჩუჩინი,** აგრეთვე მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. ბრძოლების მსვლელობაში მოსპობილია მოწინააღმდეგის **1.000**-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია **340** გერმანელი. ხელთ ვიგდეთ დავლა, რომელშიც არის **12** ქვემეხი, **62** ტყვიამფრქვევი, საპონტონო პარკი და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

ქალაქ სლონიმის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს გზატკეცილების დიდმნიშვნელოვანი კვანძი ქალაქი რუჟანი. საბჭოთა მებრძოლებმა წარმატება განავითარეს, წინ წაიწიეს **20** კილომეტრით დასავლეთისაკენ და დაიკავეს დასახლებული პუნქტი ლისკუვი. ამ რაიონში მოსპობილია მტრის **4** ტანკი, **3** თვითმავალი ქვემეხი და **35** ავტომანქანა. გერმანელებს წავართვეთ „ვეფხვის“ ტიპის **2** ტანკი, **6** საველე ქვემეხი და **2** საწყობი სამხედრო მასალა.

* * *

სტალინის სახელობის ბელორუს პარტიზანთა რაზმმა იერიში მიიტანა წითელი არმიის დარტყმების გამო უკანდახეულ გერმანელთა კოლონაზე. საბჭოთა პატრიოტებმა გაანადგურეს მტრის **120** ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ იგდეს დავლა, ტყვეები და გერმანელების **217**-ე გრენადერთა პოლკის დოკუმენტები. პარტიზანებმა ერთი კვირის განმავლობაში ტყვედ წამოიყვანეს **200**-ზე მეტი ფაშისტი დამპყრობი.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(ტრესტ „საქჩაის“ **10** ივლისის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტობით
ბათუმი	44,0	15,9	ქუთაისი	47,0	15,9
ქობულეთი	41,8	10,4	წყალტუბო	51,7	7,8
გალი	41,4	9,2	ტყიბული	54,3	24,8
ოჩამჩირე	38,3	6,0	ცხაკაია	44,9	9,7
გულრიფში	82,9	31,3	აბაშა	43,3	—
სოხუმი	126,0	130,0	გეგეჭკორი	40,5	4,0
გუდაუთი	54,3	27,4	ზუგდიდი	44,6	14,4
მაზარაძე	43,5	15,4	წალენჯიხა	48,6	17,3
ჩოხატაური	44,6	20,2	ჩხოროწყუ	44,1	5,2
ლანჩხუთი	37,2	9,9	ხობი	41,8	2,0
სამტრედია	52,0	21,6	ჩიკარა	48,7	14,3
წულუკიძე	43,7	5,3	ზესტაფონი	20,5	2,5

ბობოყვათის (ქობულეთის რაიონი) და დიდი ჯყონის მეორე ფაბრიკების, აგრეთვე ხობის რაიონის ცნობები **5** ივლისისაა.

მოსავლის აღება

(საქმეწყსახკომის **10** ივლისის ცნობებით)

რაიონები	აღებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი პროცენტობით	რაიონები	აღებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი პროცენტობით
ქუთაისი	64,8	ყვარელი	86,1
ახალციხე	1,2	ლაგოდეხი	99,6
კასპი	12,2	თბილისი	40,5
დუშეთი	5,3	მცხეთა	29,1
თეთრი წყაროო	23,6	ყარაია	96,7
ტურკაანი	47,2	ბორჩალო	43,0
სიღნაღი	48,8	ბოლნისი	34,8
წითელწყაროო	47,8	საგარეჯო	26,5
თელავი	34,9		

წითელწყაროს რაიონის ცნობები **5** ივლისისაა.

გეგმების შესრულება

ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარების **1944** წლის სახელმწიფო გეგმა უკვე შეასრულეს. ცალკა-ლკა ბოლოდ ... ...